

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030414413018815

04-48/ო

16 / თებერვალი / 2015 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგიერთი ტერიტორიული ერთეულის რეორგანიზაციისა (ორგანიზაციული ცვლილებები) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 30 იანვრის N04-30/ო ბრძანებისა და თანმდევი საკადრო ცვლილებების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზების მიზნით, მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება-გადაცემასთან დაკავშირებით გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოთ:

ა) **ლელა მაჭავარიანს** – სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

ბ) **ლევან ზაიაჯანს** – სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

გ) **რუსუდან მაქაცარიას** – სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

დ) **მალხაზ გოჩაშვილს** – სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის

უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

ე) **ლუიზა იოსელიანს** – სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

ვ) **დავით მუსერიძეს** – სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

ზ) **გიორგი ედილაშვილს** – სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

თ) **ზაზა აბულაძეს** – სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს;

ი) **ედვარდ ზაღართიშვილს** – სააგენტოს კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელს;

კ) **ზაალ მიქელაძეს** – სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის შტატგარეშე თანამშრომელს;

ლ) **თამარ ჩიხლაძეს** – სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

მ) **გოჩა ქვრივიშვილს** – სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს დაევალოთ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების („შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსება.

3. სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსების მოვალეობის შემსრულებლებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, საჭიროების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით, დამატებით გამოყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების („შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსების პროცესში.

4. დაევალოთ:


ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მაია მალაქელიძე – ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

5. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 31 მარტის

N04-76/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ 



გაიოზ თალაკვაძე